საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 06

10 01 2013 წ.

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში განათლებისა და მეცნიერების რეფორმის სახელმწიფო კომისიის საპარტნიორო სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,კ'' ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) შეიქმნას განათლებისა და მეცნიერების რეფორმის სახელმწიფო კომისიის საპარტნიორო ჯგუფი (შემდგომში - ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით:
   1. მაკა კორძაძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი (ჯგუფის ხელმძღვანელი);
   2. ნატო კოპალიანი - სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
   3. ნინო ტალიაშვილი - სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
   4. ლალი ბაქრაძე - ექსპერტი განათლების საკითხებში;
   5. ლია ღლონტი - ტემპუსის ეროვნული ოფისის კოორდინატორი;
   6. ნინო ჩუბინიძე - კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი, პროფესორი;

7. კახაბერ კორძაია - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი;

8. მარინა ჩიტაშვილი - ფსიქოლოგი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

9. ალექსანდრე ცისკარიძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

2. ჯგუფის საქმიანობად განისაზღვროს განათლებისა და მეცნიერების რეფორმის კონცეფციის ფარგლებში, უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების მიზნით სამოქმედო გეგმისა და საკანონმდებლო ცვლილებების პროექტების შემუშავება.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 4 იანვრის №03 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში განათლებისა და მეცნიერების რეფორმის სახელმწიფო კომისიის საპარტნიორო სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.“

4. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოებისა და საკადრო სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი — მაკა კორძაძე